ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კომისიის თავმჯდომარე: კონსტანტინე გელაშვილი
კომისიის წევრი: ეკატერინე გეწაძე
კომისიის წევრი: ეკატერინე მაჭარაშვილი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.02.2022
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/22

I შეკითხვა:
ადვოკატ A-ს სასამართლოში აქვს თავისი, პირადი ქონებრივი დავა საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, სადაც იურიდიულ მომსახურებას თავად უწევს საკუთარ თავს. ადვოკატს სურს საადვოკატო მომსახურების ჰონორარის განსაზღვრა იმგვარად, როგორც ამას გააკეთებდა სხვა კლიენტთან და აპირებს ამ ჰონორარის მოპასუხისგან მოთხოვნას პროცესუალური ნორმების გათვალისწინებით.

რამდენად ეთიკურია საკუთარ თავთან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება და ჰონორარის განსაზღვრა;

იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული შესაძლებელია, რა უნდა იყოს ჰონორარის ათვლის წერტილი, რომ ჰონორარის ოდენობა იყოს ეთიკურ ფარგლებში;

იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული შეუძლებელია, როგორ უნდა დაკომპენსირდეს ის ინტელექტუალურ რესურსი, რომელიც დახარჯა ადვოკატმა საკუთარი უფლების დასაცავად?

II ანალიზი:
საადვოკატო საქმიანობა მოიცავს ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა (კლიენტი) („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 2).
მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს განმარტოს, რომ საადვოკატო საქმიანობა არის ადვოკატ-კლიენტის, როგორც ორ სუბიექტს შორის (ადვოკატი, როგორც ფიზიკური პირი და კლიენტი - ფიზიკური ან იურიდიული პირი) არსებულ ურთიერთობაზე დაფუძნებული პროფესიული საქმიანობა, რომელიც უნდა იყოს კანონისა და პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი. შედეგად, ფიზიკური პირი, რომელიც არის ადვოკატი საკუთარ თავს (იმავე სუბიექტს) ვერ გაუწევს საადვოკატო მომსახურებას. „კლიენტი“ არის დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელიც ადვოკატთან დებს შეთანხმებას

საადვოკატო მომსახურების მიღების თაობაზე და ამ შეთანხმების არსი სწორედ ეს არის. ადვოკატის მიერ „საკუთარი თავისთვის“ იურიდიული რჩევის მიცემა არ არის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და შესაბამისად, ასეთ „შეთანხმებას“ არ აქვს სამართლებრივი ძალა. ამგვარი ნების გამოვლენის მიზანი არ გამომდინარეობს საადვოკატო საქმიანობიდან.

სკ-ის 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი შედეგის დადგომის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. შესაბამისად, ნების გამოვლენის მიზანი სამართლებრივი შედეგის დადგომა უნდა იყოს. ამ შემთხვევაში, ნების გამოვლენის მიზანი არ არის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და საადვოაკტო საქმიანობა.

ვინაიდან, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება ორმხირივი გარიგებაა და ამ შემთხვევაში, ასეთი სახეზე არ გვაქვს, მხოლოდ ერთი მხარის - ერთი ფიზიკური პირის არსებობის პირობებში, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადება სამართლებრივად შეუძლებელია.

ორი სხვადასხვა სუბიექტის - ადვოკატისა და კლიენტის არარსებობის პირობებში ვერ ვიმსჯელებთ ეთიკური სტანდარტების დაცვაზე, რადგან ასეთი გარიგება საადვოკატო მომსახურების შეთახნმებას არ წარმოადგენს, მას რაიმე შედეგი სამართლებრივად ვერ მოჰყვება. ადვოკატის მიერ საკუთარ თავთან, როგორც „კლიენტთან“ გაფორმებული შეთანხმებით ვერ ვიმსჯელებთ კლიენტისადმი არსებული ეთიკური სტანდარტების დაცვაზე, რადგან ადვოკატი, როგორც საკუთარი თავის იურიდიული მომსახურების გამწევი არ არის ადვოკატის პროფესიული რეგულაციით განსაზღვრული - კლიენტი.

ვინაიდან, საკუთარ თავთან დადებული გარიგება არ არის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, სასამართლოში ადვოკატის, როგორც ფიზიკური პირის მიერ საკუთარი უფლებების დაცვა არ წარმოადგენს ადვოკატის მიერ კლიენტის წარმომადგენლობას, რომელიც შესაძლებეილა განხორციელდეს ორდერის ან მინდობილობის საფუძველზე და კლიენტთან დადებული შეთანხმების შესაბამისად და რადგანაც, ამგვარ გარიგებას სამართლებრივი შედეგი არ აქვს, არც მასში მითითებული „ჰონორარი“ წარმოადგენს საადვოკატო მომსახურების შედეგად გამომუშავებულ ჰონორარს. შესაბამისად, ადვოკატის, როგორც ფიზიკური პირის მიერ სამართლებრივი დავის ფარგლებში მოპასუხისგან „ჰონორარის მოთხოვნა“ ვერ შეფასდება, როგორც წარმომადგენლის იურიდიული მომსახურებისათვის გაწეულ ხარჯად.

ამასთან, მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ ადვოკატი პროფესიული სტატუსის გამოყენებისას, ყოველთვის უნდა გაუფრთხილდეს მას და უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ არ დააზიანოს მისი პროფესიის რეპუტაცია. საკუთარ თავთან დადებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე მოპასუხისგან ჰონორარის მოთხოვნა არ უზრუნველყოფს კორპორაციის ინტერესის დაცვას და როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ამგვარმა მოქმედებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას.

რაც შეეხება შეკითხვას, სხვა მხრივ, როგორ უნდა დაკომპენსირდეს ის ინტელექტუალური რესურსი, რომელიც დახარჯა ადვოკატმა საკუთარი უფლების დასაცავად, კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ პირად სამართლებრივ დავაზე გაწეული ინტელექტუალური შრომის კომპენსაცია იქნება ის სამართლებრივი შედეგი, რაც მოჰყვება სასამართლო გადაწყვეტილებას.

III დასკვნა:

საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არის ორმხრივი გარიგება ადვოკატსა და კლიენტს შორის. ადვოკატის მიერ საკუთარ თავთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადება სამართლებრივად შეუძლებელია. შესაბამისად, ასეთი შეთანხმება და მის საფუძველზე ადვოკატის მიერ პირად დავაში მოპასუხისგან „ჰონორარის“ მოთხოვნა ვერ შეფასდება, როგორც ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების ხარჯის მოთხოვნად. შედეგად, ადვოკატის მიერ საკუთარი თავისთვის გაწეული იურიდიული მომსახურებისთვის ჰონორარის მოთხოვნა ეწინააღმდეგება საადვოკატო საქმიანობის არსს, არ წარმოადგენს ადვოკატ-კლიენტს შორის არსებულ შეთანხმებას და დამაზიანებელია ადვოკატის, როგორც პროფესიის რეპუტაციისთვის. ადვოკატის მიერ საკუთარი საქმისთვის პროფესიული ცოდნის გამოყენების კომპენსაცია არის ის შედეგი, რაც სამართლებრივი დავისას იარსებებს და საკუთარი ინტერესების დაცვისთვის იქნება საჭირო.

შენიშვნა: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი /ეკატერინე მაჭარაშვილი/